

## ზაქარია ფურცხვანიძე

ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტი

# ინტერკულტურული განათლების შესახებ პროექტის მენეჯმენტის ზოგიერთი ასპექტი

## აბსტრაქტი

ინტერკულტურული განათლების შესახებ პროექტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ცოდნის გადაცემა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში პროექტების იმპლემენტაციისათვის საუკეთესო გზას წარმოადგენს. ერთ ქვეყანაში არსებული ეროვნული საგანმანათლებლო სტრუქტურა შესაძლებელია მეორე ქვეყანაში იქნეს გადმოტანილი და, შესაძლოა, გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტაც მოხერხდეს. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში არსებული გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ინსტიტუციისათვის აუცილებელი რესურსები, იქნება ეს აკადემიური, ადამიანური თუ ფინანსური, არასოდესაა საკმარისი მიზნის მისაღწევად.

## შესავალი

ინტერკულტურული განათლების შესახებ პროექტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ამ პროცესში ცენტრალურ საკითხს მსოფლიოს ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებში არსებული აქტუალური პრობლემების გამოვლენა წარმოადგენს. საზოგადოების დაინტერესებული ნაწილი საგანმანათლებლო სტრუქტურების მეშვეობით აგვარებს არსებულ სისტემაში გაჩენილ პრობლემებს. შესაბამისად, პრობლემების გამოვლენისას

აუცილებელია გაანალიზდეს სისტემის გავლენა სამიზნე ჯგუფზე. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ნაკლის გამოგონება შეუძლებელია, ის მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილთან ურთიერთობით შეიძლება გამოვლინდეს, რომელზეც უშუალოდ ახდენს გავლენას.

საგანმანათლებლო პროექტის ძირითად მიზანს პრობლემების იდენტიფიკაცია და გადაწყვეტა უნდა წარმოადგენდეს. პრობლემები შესაძლოა გამოწვეულ იქნეს კონკრეტული საზოგადოების სოციალური,

პოლიტიკური და ეთნოლოგიური მდგომარეობით.

ცოდნის გადაცემა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში პროექტების იმპლემენტაციისათვის ყველაზე საუკეთესო გზას წარმოადგენს. ერთ ქვეყანაში არსებული ეროვნული საგანმანათლებლო სტრუქტურა შესაძლებელია მეორე ქვეყანაში იქნეს გადმოტანილი და შესაძლოა გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტაც მოხერხდეს. მაშასადამე, ინტერნაციონალურობა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც უალტერნატივო და აუცილებელი გზა საგანმანათლებლო ინიციატივებში. ინტერნაციონალური კომუნიკაციები არღვევს ნაციონალურ საზღვრებს და წარმოშობს საჭიროებას ნაციონალური საგანმანათლებლო პრაქტიკების ინტენსიური გაცვლისათვის. მიუხედავად ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზრდადი მულტილინგვიზმი არა მხოლოდ მხარს უჭერს ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს, არამედ - გამოწვევების წინაშე აყენებს. ინტერნაციონალური საგანმანათლებლო სისტემები მხარს უჭერს ადამიანური და ფინანსური რესურსების კონცენტრაციას ყველა მონაწილე ქვეყნის წარმატებისათვის.

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში არსებული გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ინსტიტუ-

ციისათვის აუცილებელი რესურსები, იქნება ეს აკადემიური, ადამიანური თუ ფინანსური, არასოდესაა საკმარისი მიზნის მისაღწევად.

### **პროექტის კონსორციუმის ფორმირების ძირითადი აქტივობები**

ქვეყნის საგანმანათლებლო რესურსების დეტალური გამორკვევა პროექტის კონსორციუმის ფორმირების პროცესში უმთავრესი ამოცანაა. პირველი ნაბიჯი ზემოთხსენებული მიზნის მისაღწევად ადგილობრივი საგანმანათლებლო ინსტიტუციების წარმომადგენლების გამოვლენაა. ამ უკანასკნელის გამოცდილებები ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირებას ეფუძნება. გამოცდილების მიხედვით, შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ საგანმანათლებლო სისტემის ცენტრალურ და პერიფერიულ რეგიონებს განსხვავებული ხედვა აქვთ გადაუდებელი პრობლემების შესახებ. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია ორივე - პერიფერიული და ცენტრალური საგანმანათლებლო სივრცის წარმომადგენლების ერთად შეკრება ასეთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

წარმატებული თანამშრომლობა ორივე მხარეს შორის განსაზღვრავს მიზნის მისაღწევ საშუალებას.

ორ მხარეს შორის წარმატებული თანამშრომლობა განსაზღვრავს მიზნის მიღწევას. დაპირისპირებულ მხარეებს

შორის თანხმობის მიღწევა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საგანმანათლებლო სისტემა გახდება ქვეყნის მთლიანი სოციალური და პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი. სწორედ ამიტომ, რომ კონკრეტული საზოგადოების უცნობი საგანმანათლებლო პროგრამები ცნობილი გახდება ყველა ქვეყნის სკოლებისთვის.

ყველა ზემოთხსენებული ასპექტი და ამოცანები კონცენტრირდება საგანმანათლებლო პროექტის მენეჯმენტის პასუხისმგებლობებზე. სწორედ ამიტომ, რომ პროექტის მენეჯმენტი წარმატებულად მიდის დანიშნულების ადგილამდე.

### პროექტის მენეჯმენტის ამოცანები

საგანმანათლებლო პროექტის მენეჯმენტი ზოგადად წარმოადგენს ცოდნის,

უნარების, ხელსაწყოებისა და ტექნიკების გამოყენებას პროექტის სხვადასხვა ეტაპით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციისას. პროექტის ძირითადი სქემა უკავშირდება ე. წ. „პროექტის მენეჯმენტის სასიცოცხლო ციკლს“. მას ოთხი ფაზა გააჩნია:

1. დაფუძნება
2. დაგეგმვა
3. შესრულება
4. დახურვა

პროექტის სასიცოცხლო ციკლი, როგორც წესი, ოთხი საფეხურისგან შედგება, განსაზღვრა, დაგეგმვა, შესრულება და მიწოდება. პროექტი იწყება მისი გამოცხადებიდან, ნელ-ნელა ვითარდება და აღწევს მის მიზანს, როდესაც ბენეფიციარებს მიაწოდებს პროექტის შედეგებს.



**პროექტის კომუნიკაციური მენეჯმენტი**  
ეხება იმას, როგორი უნდა იყოს კომუნიკაცია პროექტის მიმდინარეობის პროცესში. კარგი კომუნიკაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის საქმის კურსში ჩაყენებას, პროექტის პროგრესისა და პრობლემების შესახებ. პროექტის კომუნიკაციური მენეჯმენტი შემდეგი პროცესებისგან შედგება:

**კომუნიკაციის დაგეგმვა-**  
დაინტერესებული მხარეების ინფორმაციისა და კომუნიკაციური საჭიროებების განსაზღვრა: ვის რა ინფორმაცია სჭირდება, როდის სჭირდებათ და როგორ მიეწოდებათ.

**ინფორმაციის მიწოდება-** საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის.

**საქმიანობის ანგარიში-შესრულების**  
შესახებ ინფორმაციის შეგროვება და

გავრცელება, მოიცავს სტატუსის ანგარიშგება, პროგრესის შეფასება და პროგნოზირება;

**ადმინისტრაციული (პროექტის) დახურვა**  
- ინფორმაციის წარმოება, შეგროვება და გავრცელება პროექტის დასრულების ფაზის ფორმალიზებისთვის.

### **DIMTEGU - ხედი გარედან**

DIMTEGU-ს პროექტი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ერთ-ერთი საუკეთესოდ სტრუქტურირებული საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი, რომელშიც მონაწილეობს უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებლები ხუთი ქვეყნიდან: უკრაინა, საქართველო, ლატვია, ლიტვა და გერმანია.



ყველა აქტივობას კოორდინაციას უწევს DIMTEGU-ს ოფისი თბილისში. აკადემიური პერსონალი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია მუდმივად თანამშრომლობენ და მათი საქმიანობის მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს. მონაწილე ქვეყნებს შორის პროექტის ბიუჯეტის ადმინისტრირება მიმდინარეობს

ხელმძღვანელების მიერ თბილისში. DIMTEGU-ს ოფისის თანამშრომლები პრაქტიკულ დახმარებას უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. ოფისი ორგანიზებასა და კოორდინირებას უწევს ყველა შეხვედრას და ინიციატივას, ყველა მნიშვნელოვან ნაბიჯს პროექტის შეუფერხებელი იმპლემენტაციისათვის.



*Study Tour at Goethe-University  
Frankfurt/M. (15 -17 May 2014)*

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ პროექტის განხორციელებისას უკრაინაში მოხდა სამხედრო ინტერვენცია, რამაც ყირიმის უნივერსიტეტი გამოთიშა პროცესს, ადვილი წარმოსადგენია როგორი რთული იქნებოდა პროექტის წყვეტის გარეშე გაგრძელება. მიუხედავად ამისა, ყველა მონაწილეთა თანამშრომლობს და იმედოვნებს, რომ გადაწყდება დახმარებების მიწოდების, შეხვედრების ორგანიზებისა და სავსელე სამუშაოების მონიტორინგის პრობლემები.

გარდა ამისა, პროექტის საწყისი ეტაპისაგან განსხვავებით, შეიცვალა საკანონმდებლო მდგომარეობა განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებით. პოლიტიკის

ცვლილება და პოლიტიკური სირთულეები DIMTEGU-ს პროექტის გაუთვალისწინებელ ფაქტორებს მიეკუთვნება. არასტაბილურობა წარმოადგენს გამოწვევას, რომელიც ოპტიმალურად გადავწყვიტეთ შტაბის ოფისთან ერთად. ძირითადი უნარი, რომელიც აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარა იყო კომუნიკაციური არხების ფუნქციონირება შტაბსა და ადგილობრივ მონაწილეებს შორის.

მენეჯმენტის კუთხით არსებული ღირებული გამოცდილება შესაძლოა მივიჩნიოთ, როგორც DIMTEGU -ს პროექტის ერთ-ერთი მთავარი შედეგი.